

კონკურსში მონაწილეობის პირობები

ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად

მუხლი 1. კონკურსში მონაწილეობის პირობები

ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ობსერვატორიის მთავარი ან უფროსი მეცნიერ თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს (აქვე, მუხლი 2 და 3) ან საკონკურსო განცხადების წარდგენის დღის მდგომარეობით უკავია ობსერვატორიის მთავარი ან უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობები.

მუხლი 2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისათვის დადგენილი პირობები (მოთხოვნები)

1. აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
3. აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები, კერძოდ, 2012 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ ხუთი სტატია მაღალი (>2) იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად;
4. იცნობს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას და შინაგანაწესს;
5. იცნობს საქართველოს კანონს „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ (I-II, IV, VI და VII თავები).

მუხლი 3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისათვის დადგენილი პირობები (მოთხოვნები)

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. 2012 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 5 სტატია ერთზე მეტი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.
3. იცნობს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას და შინაგანაწესს;
4. იცნობს საქართველოს კანონს „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ (I-II, IV, VI და VII თავები).